სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

1990 შაბათი 22 დეკემბერი №153 (10390)

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ფასი 8 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

15 დეკემბერს თბილისში შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ავთანდილ მარგიანი.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია გრიგოლ ონიანი, რომელიც მანამდე მუშაობდა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფტექნიკის" თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია კონსტანტინე ქავთარაძე, რომელიც მანამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების გამგედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია გერმანე ფაცაცია, რომელიც მანამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისა და საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩიეს შალვა ალიევი — მარნეულის საწარმოო გაერთიანების „საქარამფნეულის" ზეინკალი, ანდრია აფაქიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მან ბაიბურთი — გაზეთ „ვრასტანის" მთავარი რედაქტორი, ზურაბ გვერდწითელი — გამომცემლობა „მერანის" დირექტორი, თეიმურაზ გიორგაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგპარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი, ომარ ელოშვილი — საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი, ზურაბ ერქვანია — საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დემურ იოსელიანი — გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი, ზურაბ ჩიტლოვი — საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი, გურამ ხარატიშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, თენგიზ ხახვა — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

## საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

გლობალურად რთული, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში კრიზისული ვითარება დგას საქართველოში. მიუხედავად საშინელი დაბაბულობისა, რესპუბლიკაში პირველად, მრავალწლიანი ავტორიტარიზმის, ერთპარტიული დიქტატისა და აურაცხელი მორალური, ფიზიკური და მატერიალური დანაკარგების შემდგომ, პირველად ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. კომუნისტური პარტიის მონოპოლიას თეორიულად მაშინ დაუდგა დასასრულის დასაწყისი, როცა ჩვენმა ხალხმა მიიღო კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ, ხოლო პრაქტიკულად ამ მონოპოლიის დასასრული დაიწყო მრავალპარტიული არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შედეგად. არჩევნებში ბოლომდე გაცხადდა ხალხის ნება და გაიმარჯვა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ.

საქართველოს კომპარტიამ თავისი დეპუტაციით მტკიცე ეროვნული პოზიცია დაიჭირა რესპუბლიკის პარლამენტში, რაც აისახა კიდეც მიღებული გადაწყვეტილებისადმი მხურვალე მხარდაჭერაში.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის შეკონსოლიდირებელი პოზიცია ახალი შინაარსით შეივსო ახლახან დასრულებული პარტიის დამოუკიდებლობის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებებით, რაც აისახა კიდეც მის ერთ-ერთ მიმართვაში საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ფაქტობრივ და იურიდიულ დამოუკიდებლობას, ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ პოზიტიური რეაქცია უნდა მოჰყოლოდა ყველა არსებული პოლიტიკური ძალის მხრიდან. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიას ზოგიერთი პოლიტიკური ძალა თითქოს ოპოზიციაში უდგას, არ სურთ დაინახონ მისი ეროვნული შინაარსი, რაც დაპირისპირებას ახალ ტალღას მოასწავებს და ამან შეუძლებელია ხელი არ შეუწყოს ფარული თუ ხილული ძალების, იმპერიული თუ დესტრუქციული ამბიციების პოლიტიკურ არენაზე დაწინაურებას.

დამოუკიდებლობა ყოველთვის მრავალ პრობლემას წარმოაჩენს და ამის ფონზე ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია ის ყოვლად მიუღებელი, გარკვეული ძალების მხრივ გამოვლენილი დამოკიდებულება, რომელიც განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ პერიოდში პარტიული დაწესებულებებისა და თანამშრომლების, საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ.

ჩვენ მივმართავთ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებულ ბლოკს, ხალხის ნებით, მისი ნდობით აღჭურვილ პარლამენტს, რესპუბლიკის სხვა პოლიტიკურ ძალებს, რათა ყველა სადავო საკითხი გაირკვეს გულახდილი დიალოგისა და კონსტრუქციული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

ჩვენ, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის წევრები და კომპარტიიდან არჩეული დეპუტატები ვართ დიდი ეროვნული ძალა და იმპერიული, გამთიშველი ძალების გარდა, არცერთი სხვა პოლიტიკური ძალის მიმართ თავს ოპოზიციურად არ მივიჩნევთ.

საქართველოს გადაარჩენს კეთილგონიერება, ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლობა, ურთიერთთანადგომა, ურთიერთმიტევება და ღვთისმშობლის წილხვედრობის ჭეშმარიტი გაცნობიერება. მოგიწოდებთ ყველას, გვახსოვდეს ერთმანეთი, გვახსოვდეს ჩვენი უზენაესი მიზანი და ერთად ვაშენოთ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველო.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის პრესცენტრი.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შესახებ

15 დეკემბერს თბილისში შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური საკონტროლო კომისიის პირველი პლენუმი.

პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ სერგო რიგვავამ.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრის სტატუსი და პრეზიდიუმის სტატუსი, განისაზღვრა აგრეთვე ცსკ-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს ედუარდ კეკელია და შალვა ცაგარეიშვილი.

არჩეულია პრეზიდიუმი 18 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

## ჟურნალისტთა გადაწყვეტილებით

ჩაიარა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს სხდომა, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიერ მიღებულ კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით სამდივნომ მოუწოდა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე ჟურნალისტებს გააუქმონ თავისი საოლქო განყოფილება და შექმნან ჟურნალისტთა სამაჩაბლოს რეგიონალური ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის აღდგენასა და გამტკიცებას.

სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება სამაჩაბლოს ლტოლვილთა ფონდში გადაირიცხოს ხუთი ათასი მანეთი.

## ამაზეც გამახვილდეს ყურადღება

როგორც ყველა ქართველს, მეც მაწუხებდა სამაჩაბლოს საკითხი და აი, უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. იმედი მაქვს, რომ ამას მოჰყვება სხვა საჭირო ღონისძიებანიც, რათა ბოლოსდაბოლოს მოხდეს საქართველოს გაერთიანება. ისედაც პატარა საქართველოს რაღა დაქუცმაცება უნდოდა.

მინდა კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება, როგორც პედაგოგმა. ჩვენს რესპუბლიკაში იმდენი ჟურნალ-გაზეთი გამოდის, რომ რამდენიმე ქვეყანას ეყოფა. ქაღალდის დეფიციტი კი სულ უფრო იზრდება. რაც მთავარია, არ გვყოფნის სახელმძღვანელოები. სწავლაზე გულაცრუებულ მოსწავლეებს კი საბაბად ახალი სახელმძღვანელოების უქმარისობა აქვთ.

იქნებ ახალმა მთავრობამ ამ საკითხზეც გაამახვილოს ყურადღება. უფრო სწორად, მოხერხდეს სახელმძღვანელოების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოშვება.

თ. ლურწკაია

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ინფორმაცია

## ციტრუსოვანთა ბაღებში

ანაკლიის მეციტრუსეობის მეურნეობაში (დირექტორი რ. ხარჩილავა) „ოქროს რთველია". 150 ჰექტარზე გაშენებულ ციტრუსოვნებიდან, 80 უკირავს ლიმონს, ფეიჰოა ხარობს 40 ჰექტარზე.

შრომა იჭარულია. გაპიროვნებულ ნაკვეთებზე შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან მოიჯარეები: გენადი ესართია, პეტრე ქაძანაია, ზაურ შენგელია, ვაჟა ხიჯინავა, ლულუნი გულუა და სხვები.

ანაკლიელებმა უკვე დაამზადეს 60 ტონაზე მეტი მანდარინი. მიმდინარეობს ლიმონის მოსავლის აღება, რომელიც მიაღწევს 40-50 ტონას.

კრეფა გრძელდება.

### ვუქომაგოთ კოლხურ ფოლკლორს

## საქმეს კეთილად წაადგება

ბესია ჭითანავა საკმაოდ პოპულარული სახელია ზუგდიდელ ფოლკლორის მოყვარულებში. იგი უკვე მერვე წელია შესაშური გატაცებით ეწევა, მთავრად თავისი ხალხური სიმღერისადმი სიყვარულის დანერგვის კეთილშობილურ საქმეს. მისი ეს მონდომება რეალურად გამოიხატა პრაქტიკულ საქმეებშიც. მან რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა, ახალგაზრდულ ასაკში მიიღო საერთო აღიარება, რაც გამოიხატება ფოლკლორული ანსამბლ „მახარიას" ჩამოყალიბებასა და საკონცერტო მოღვაწეობაში.

ამ დღეებში ბესია რედაქციას ესტუმრა. მასთან გულახდილ საუბარში გამოიკვეთა ცალკეული საკითხები. მან ჩვეული გატაცებით მოგვითხრო ზუგდიდის რაიონში ფოლკლორის ფონდისა და ფოლკლორის მოყვარულთა საზოგადოების „მერცხალი" შექმნის თაობაზე. ეს იდეა,—აღნიშნა მან, დიდი ხანია გულით დამაქვს. სხვათა შორის, როგორც გავიკითხე, რესპუბლიკაში ამის ანალოგი არ აღმოჩნდა. ალბათ მკითხველს დააინტერესებს სახლის მიზანი და დანიშნულება. უპირველეს ყოვლისა ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ უფრო ძალუმად აღორძინდეს კოლხური ფოლკლორის სხვადასხვა დარგი. ამასთან იგი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების აქტიურად ჩაბმას ამ საქმეში უფროსების რჩევისა და დარიგებების გათვალისწინებით.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ ესახება ამ საქმის პერსპექტივა, ბ. ჭითანავამ გვითხრა:

—ახლო მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს ქალაქის ცენტრში ჩაიდგას კოლხური სტილით ნაგები შენობა „ფოლკლორის სახლი" სახელწოდებით, რომელიც იქნება ხალხური სიმღერის სადიდებელი კერა. ალბათ იკითხავთ, რა წყაროებიდან? განზრახული გვაქვს საქველმოქმედო კონცერტებისა და ფოლკლორის საღამოების ჩატარება, აგრეთვე დიდ იმედებს ვამყარებთ, თქვენზე, პატივცემულო მკითხველებო. ცალკეული ორგანიზაციების და ინდივიდების მხრიდან მატერიალური თანადგომა უცილოდ წაგვახალისებს და მეტად კეთილ და სასარგებლო საქმეებს გაგვაკეთებინებს მომავალში.

ჯ. თელია.

### თვალსაზრისი

## ვისია „ჯავშანი"?

„პრივილეგია"—ეს არ არის უძრაობის ეპოქის ბიუროკრატიული აპარატის გამოგონება. მან მხოლოდ აბსურდამდე დაიყვანა ეს ცნება. საერთოდ, მატერიალური უთანასწორობის პრობლემა ბევრს აღელვებს. თვით ლათინური სიტყვა „პრივილეგიუმ" ხომ ადეკვატურად ვინმესთვის განსაკუთრებულ უფლების, უპირატესობის მინიჭებას ნიშნავს. მაშ, რატომ არ ავდგებით და გადავჭრით, ან კიდევ თანმიმდევრულად ყველა დაუმსახურებელ პრივილეგიას არ გავაუქმებთ? მართალია, საქართველოში 1988 წლის ივნისიდან სპეცმაღაზიებმა შეწყვიტეს არსებობა, შემდგომ გაუქმდა ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველო და „ელიტისათვის" განკუთვნილი სხვა ობიექტები, მაგრამ ეს ყველაფერი დანაიდების შრომად ჩაითვლება, თუ არ იქნება გამოძებნილი ოპტიმალური ვარიანტი ან საკითხის მთლიანად გადაწყვეტისათვის. რა თქმა უნდა, საქართველოს მთლიან სპექტრში პატარა ქალაქების შესაბამისი პრობლემებიც იჩენს თავს. იმედი გვაქვს, მკითხველი სწორი გაგებით შეხვდება ჩვენს ცდას, შევეხოთ ჩვენი ქალაქის საავტომობილო სარკინიგზო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში არსებულ პრივილეგიებს. კერძოდ, საქმე ეხება ეგრეთწოდებულ „ჯავშანს". მოგეხსენებათ, რა უსიამოვნებებთან არის დაკავშირებული ნებისმიერი სახეობის მოგზაურობისათვის ბილეთის აღება. ამ პერიოდისათვის კი ექსპრესიული ავტობუსის თითოეულ რეისზე, რომელიც ზუგდიდის ავტოსადგურიდან თბილისისკენ დღეში ორჯერ მიემართება, 11—ადგილი „დაჯავშნულია". გარდა ამისა, ექსპრესიული (კოოპერატიული) ავტობუსები გადიან რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნიდანაც. აქედან, თუნდაც ერთი ავტობუსის (რომელიც გრაფიკით თურმე უნდა გადიოდეს 16 საათსა და 40 წუთზე) ბილეთი რატომ არ უნდა იყიდებოდეს ჩვეულებრივ წინასწარი გაყიდვის სალაროებში?

„ელიტისათვის" განკუთვნილი რკინიგზის მეათე სამგზავრო ვაგონი, რომელსაც ზოგი „საპარტიო ვაგონს" უწოდებს, ზოგი კი „მეჟდუნაროდნის", მთლიანად „დაჯავშნულია". მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა ვაგონების ფონზე თავისი ინტერიერით გამოირჩევა, საინტერესოა, რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ, როცა მას ზემოთხსენებული ეპითეტებით მოიხსენიებენ? ეტყობა, „საწოლი ვაგონის" გარდა „სადგომი ვაგონიც" არსებობს. ანდა, რა შუაშია „საერთაშორისო", როცა ცივილიზებული ქვეყნების სარკინიგზო ექსპრესები, კომფორტზე არაფერს რომ ვიტყვით, საათში 500 კილომეტრზე მეტ სისწრაფეს ავითარებენ. ერთი სიტყვით, სარკინიგზო შემადგენლობის „კუპირებული" ვაგონების უმეტესობა მეტნაკლებად დაჯავშნულია. ასეთივე მდგომარეობაა სამოქალაქო ავიაციის სალაროებშიც. ისმება კითხვა—„ვისია ჯავშანი"? ან კიდევ, თუ დაჯავშნა აუცილებლობითაა ნაკარნახევი, არის კი საჭირო ამდენი? ვფიქრობთ, დღეს, როდესაც ტრანსპორტის ნაციონალიზაცია არის მიჩნეული ამ დარგის განვითარების საუკეთესო საშუალებად, შესაბამისი ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურის მიერ საჭიროა შემუშავებულ იქნას პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული ღონისძიებები. იმათ კი, ვისაც შესაძლოა ჩვენი მოსაზრება არაკომპეტენტურად მიაჩნდეს, შევახსენებთ ბიბლიური დავითის თავმდაბლურ სიტყვებს: „მე ყველასგან ვსწავლობ, სულელისგანაც კი, რადგან მასაც შეუძლია გამოთქვას ჭკვიანური აზრი".

ნუგზარ ბულორდავა,
საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების კონსულტანტი.

## მხოლოდ სწავლით და შრომით

ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოში მიმდინარე ისტორიულმა პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რამაც ჩვენი საზოგადოება მრავალი გადასაჭრელი პრობლემის წინაშე დააყენა, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ახლა ყველა ჩვენს სატკივარს სააშკარაოზე გამოტანა და გამომზეურება.

მრავალი საჭირბოროტო საკითხი დაგროვდა სკოლებში. ამიტომ, მე როგორც მოსწავლემ, ვალდებულად ჩავთვალე მკითხველთან გულახდილად მესაუბრა. არ ვიცი ეს აზრები რამდენად მოსაწონი იქნება, მაგრამ გულახდილი კი ნამდვილად ვარ.

საქართველოს ბევრ სკოლაში დაინერგა დიფერენცირებული სწავლების პროგრესული მეთოდი, სადაც ხდება მოსწავლეთა რაოდენობის მინიმუმამდე შეკვეცა, კლასების დარეგულირება ინტერესებისა და მისწრაფებების მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას. სამწუხაროდ, ასეთი სწავლების მასიურად [illegible] სხვა გადაუჭრელ საკითხებთან ერთად ხელს უშლის კადრების ნაკლებობა და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა, რაც თითქმის ყველა სკოლაში ჭირს.

დავუშვათ, რომ განათლების სისტემაში გადაიჭრა ყველა ის პრობლემა, რომელიც ზემოთ ვახსენე, საკმარისია, რომ სკოლა გარდაიქმნას? ჩემი აზრით, არა. ვინაიდან სკოლა საზოგადოების ერთ-ერთი სფეროა, სანამ საზოგადოება არ დაადგება სრულყოფის გზას, არც სკოლაში მოგვარდება ყველაფერი.

ჩვენს თაობას ხშირად გვესმოდა და გვესმის საყვედური უფროსებისგან, რომ დავკარგეთ ინტერესი სწავლის. ამის მოსაუბრენი კი მიზეზებს იშვიათად ამბობენ. რატომ დავკარგეთ სწავლის ხალისი?—მარტივად ვუპასუხებ: იმიტომ რომ სწავლა არ ფასობს.

მართალია, ცოდნა არ ფასობს, მაგრამ უმაღლესი განათლების დიპლომს კი ყველა ეპოტინება. ასეთი პარადოქსული სიტუაციის მიზეზი კი ის არის, რომ მის მისაღებად ცოდნა სულაც არ არის აუცილებელი. (ხერხები მკითხველს კარგად მოეხსენება). საზოგადოებაში წლების მანძილზე მძლავრად ფეხმოკიდებულმა და გაბატონებულმა პარტოკრატიამ გზა გაუხსნა მავნე ჩვევებსა და საქმიანობას, რამაც წარმოშვა დიპლომანიის პრესტიჟი, საზოგადოებაში პრესტიჟული თანამდებობისთვის დიპლომი იყო საჭირო. არადა, პატიოსანი შრომის ანაზღაურება მხოლოდ ნაწილობრივ შეესატყვისება იმ მინიმუმს, რაც დღეისათვის აუცილებელია. ცხადია, ასეთი პერსპექტივა ბევრს არ აკმაყოფილებს, მით უმეტეს, ვერ გაამტყუნებ ახალგაზრდას, რომელიც კეთილდღეობისაკენ მიისწრაფვის, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი.

დღემდე ასე იყო. თუ როგორ იქნება დღეის იქით, ესეც ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ვცდილობთ დამოუკიდებლობის, თავისუფლების გზით, თუ საქართველო ეცდება გათავისუფლდეს მძიმე ეკონომიური და ფსიქოლოგიური მემკვიდრეობისაგან, საჭიროა ცოდნით აღჭურვილი, განათლებული თაობა.

მინდა მოვუწოდო ჩემს თანატოლებს, და განსაკუთრებით იმათ, რომლებიც წელს ამთავრებენ სწავლას, რომ თუ გვინდა ვეზიაროთ ყოველივე სიკეთეს, უნდა მივეჩვიოთ შრომას, საღ აზროვნებას, დავეწაფოთ ცოდნას. მაშ ავყვეთ ცოდნის ბილიკებს და მივაღწიოთ იმ მწვერვალს, რომელსაც პროფესიონალიზმი ჰქვია, ვინაიდან მხოლოდ ეს იქნება ერთადერთი კრიტერიუმი თავისუფალი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნების კეთილდღეობისა. და მართლაც, თავისუფალ საქართველოში, სადაც კერძო სექტორი იქნება ქვაკუთხედი საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობისა, წარმოუდგენელია იყვნენ თავისი საქმის უცოდინარი ადამიანები, მაშინ ვერც „ჩაწყობითა" და ვერც ნაცნობ-მეგობრობით თავს ვერ გაიტანს. ამიტომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ისღა დაგვრჩენია, ვისწავლოთ და ვიშრომოთ!

თემურ თოლორაია,
ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

## ორიგინალური თვალთახედვით

ამ დღეებში სამხატვრო გალერეაში მოეწყო ზუგდიდელი მხატვრის ჯანსუღ ჭურღულიას პირველი პერსონალური გამოფენა. ექსპოზიციაში თვალნათლივ აისახა ქართულ გრაფიკაში მიმდინარე პროცესები, ნამუშევართა უმრავლესობა გამოირჩევა პროფესიონალიზმით, მრავალპლანიანობით.

ჩვენში მოწყობილი არაერთი საინტერესო გამოფენა მოწმობს, რომ სახვითი ხელოვნების ამ დარგისადმი ინტერესი თანდათანობით ღვივდება.

გამოფენა გახსნა ზუგდიდის სამხატვრო სკოლის დირექტორმა ს. ხუხუტიამ; სიტყვებით გამოვიდნენ: კულტურის განყოფილების პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე დ. ჭიჭილავა, მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონული სასახლის მეთოდისტი ი. მოხია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტის ხატვის კათედრის პედაგოგი დ. სულაკაური, იაკობ წიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი, მოქანდაკე და გრაფიკოსი გ. ნიკოლაძე.

დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა ნამდვილი შემოქმედებითი წვის ნაპერწკლით გასხივოსნებულმა, ინდივიდუალობით აღბეჭდილმა ნაწარმოებებმა.

ჯანსუღ ჭურღულიას სტუდენტობის პერიოდში არაერთ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა, ეს იქნებოდა ხელოვნების მუშაკთა სახლში თუ სხვაგან. გამომცემლობა „ნაკადულში" გააფორმა ორი წიგნი. მისი შემოქმედება გამსჭვალულია მშობლიური კულტურის ღრმა განცდით.

როცა საკუთარ შემოქმედებაზე შეკითხვებით მივმართეთ, თავმდაბლურად განაცხადა, თვითონ მნახველებმა განსაჯონო. დღეს, როცა შემოქმედებას სრული თავისუფლება ეძლევა, მხატვარს ეძლევა საშუალება თამამად წარმოაჩინოს თავისი პიროვნება, საკუთარი სამყარო. იმედია, ახალგაზრდა მხატვრის ეს პირველი ნაბიჯები დიდი ხელოვნების გზაზე გასასვლელი ბილიკი გახდება და წლების გადასახედიდან იგი უთუოდ გაიხსენებს მშობლიურ ქალაქში მოწყობილ ამ გამოფენას.

ლ. ქარჩავა,
კულტურის განყოფილების ინსპექტორი.

## წერილი

### პატივისცემით ვიგონებთ

მოუხვეწარი, ხიაბლის მაძიებელი, ბუნების მოტრფიალე, სოფლის მეურნეობის დვაწლმოსილი მუშაკი, ასეთი იყო მეთუთე აგრონომი კარლო ფაღავა. მისი არაერთი რაციონალიზატორული წინადადება განხორციელებულა როგორც რაიონში, ისე მის გარეთაც. რაიონში მეთუთეობის შემდგომი განვითარების მიზნით კარლო ფაღავამ ბევრი რამ გააკეთა, როგორც იტყვიან, კეთილ თესლს, ყოველთვის კეთილი ნაყოფი გამოაქვს. დგანან ხეები, ხარობენ ციტრუსები... მადლიერი შთამომავლობა პატივისცემით იგონებს ყალმოხდილ ადამიანს, რომლის საქმენი საქიკეთონი წაადგა ხალხს.

„ჩაიონის ნოვულის მეურნეობის მუშაკები არ ივიწყებენ ამ ხოთიცარ პიროვნებას, რომლის ძალისხმევა მუდამ მიმართული იყო ხიაბლისაკენ. ვაგლახ, რომ ვერ შეესწრო დღევანდელობას, არადა როგორ აუბამდა მხარს დღევანდელ სისხლსავსე ცხოვრებას, თავისუფლებისათვის, ბედნიერი მერმისისათვის ბრძოლას..“

ზ. ახათიანი.

## შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან გვატყობინებენ

ამა წლის 8 დეკემბერს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების მუშაკებმა სიგარეტ „პალმალით“ სპეკულაციის ფაქტზე ამხილეს ენგურქაღალდკომბინატის დასახლების ჯანაშიას ქუჩის №25 სახლის ბინა 88-ში მცხოვრები შურა (ლარისა) სამზიდის ასული შალაბაევა, რომელმაც მოქალაქეს 20 კოლოფი სიგარეტი „პალმხლი“ მიჰყიდა 800 მანეთად, ე. ი. ერთი კოლოფი 15 მანეთად. მისი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სასპეკულაციოდ გამიზნული 520 კოლოფი „პალმალი“.

მიმდინარეობს წინასწარ გამოძიება.

## მკითხველთა ყურადღებას

### ვნახოთ, გაჭრის თუ არა!..

კავშირგაბმულობის მოუქნელი მუშაობით, კერძოდ სატელეფონო ჰომსახურებით უკმაყოფილოა ჩვენი საზოგადოებრიობა. ამას მოწმობენ „ოდიშის“ რედაქციაში შემოსული მკითხველთა წერილები, საჩივრები. ასეთი სახის მრავალ ბარათთაგან მხოლოდ ერთ-ერთს გაგაცნობთ დღეს. აი, რას გვწერს ზუგდიდის №8 ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივი:

ზუგდიდის №2 ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივი გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით შეატყობინოთ კავშირგაბმულობის ზუგდიდის კვანძის მესვეურებს, რომ ფაბრიკის სასამსახურო ტელეფონები თითქმის ნახევარწელზე მეტია დუმს. მათი აღუშვავების თაობაზე არაერთხელ მივმართეთ შესაბამის სამსახურებს, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. ფაბრიკაში გაგვაჩნია ჩაის პროდუქცია და სხვა მატერიალური ფასეულობანი. რაიმე გაუთვალისწინებელი, არასასურველი შემთხვევის ბირობებში არა გვაქვს საშუალება დავუკავშირდეთ სასურველ ორგანიზაციას, რაც ყოველდ დაუშვებელია დღევანდელ ვითარებაში.

იქნებ თქვენმა შეხსენებამ გაჭრას?!

დიდი სამამულო ომის ვეტერანი ხუტა ყურაშვილი გაწეული მკურნალობისა და ზრუნვისხმიერებისათვის მადლობას უხდის ექიმს ნინა ოვრახს და უსურვებს წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

### იწარმოებს მეანაბრეთა მოთხოვნილებისამებრ!

ზუგდიდის შემნახველი ბანკის განყოფილებასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში დღემდე გახსნილი ვადიანი ანაბრების გადაფორმება ახალ გადიდებულ პროცენტულ განაკვეთებზე —1 წელზე მეტი ვადით 3 წლამდე 5 პროცენტი წლიური მირიცხვით, 3 წელზე მეტი ვადით 5 წლამდე—7 პროცენტი წლიური მირიცხვით და 5 წელზე მეტი ვადით 9 პროცენტი წლიური მირიცხვით იწარმოებს მეანაბრეთა მოთხოვნისამებრ 1991 წლის 1 მაისამდე, ხოლო გადაფორმებულ ანაბრებს პროცენტები მიერიცხება 1990 წლის 1 ნოემბრიდან, მიუხედავად მათი გადაფორმების თარიღისა 1991 წლის 1 მაისამდე პერიოდში.

ქ. ზუგდიდის შემნახველი ბანკის განყოფილება.

### წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და კერძო პირთა საყურადღებოდ!

დამოუკიდებელი კომერციული კოოპერატივი „კალაქსი“ იღებს შეკვეთებს: ვიდეომაგნიტოფონებზე, კომპიუტერულ, ქსეროქსულ, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, საზღვარგარეთის ფირმის ავტომანქანებზე და ა. შ.

დამოუკიდებელ კომერციულ კოოპერატივ „კალაქს“-ს აქვს საინფორმაციო კავშირები უკრაინის, რსფსრ-ს, ბალტიისპირეთის, ასევე უცხოეთის ფირმებთან და შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენთვის სასურველ ნებისმიერ საქონელზე.

ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ მოგვაწოდონ ცნობები მათ მიერ წარმოებულ საქონელზე და იმაზე, თუ რისი შეძენით არიან დაინტერესებულნი.

იჩქარეთ, დაამყარეთ საქმიანი კონტაქტები დკკ „კალაქს“-თან, რამეთუ იგი შეიძლება გახდეს თქვენი საიმედო პარტნიორი:

ჩვენი მისამართია: ლენინის მეორე შესახვევი, №17, ტ: №2—66—06, გამოსასვლელი დღე—კვირა.

### ვიწვევთ სამუშაოდ!

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა იწვევს სამუშაოდ მეფრინველე-ოპერატორ ქალებს და მექანიკოს—მამაკაცებს:

ანაზღაურებას ოპერატორები მიიღებენ 270-800 მანეთს, მექანიკოსები კი 400-450 მანეთს! ზემოთ აღნიშნულ პირთ შეუძლიათ იმუშაონ აგრეთვე ხელშეკრულებით: ფაბრიკას გააჩნია საცხოვრებელი ბინა. ჩვენი მისამართია: სოფ. ჭითაწყარო, ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა—ავტობუსი №21-ის ბოლო გაჩერება.

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექცია.

### აბონენტებს შევახსენებთ

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია შეახსენებს კერძო ტელეფონების მფლობელებს და წარმოების ხელმძღვანელებს, დროულად გადაიხადონ კავშირგაბმულობის საშუალებით მომსახურების თანხები დავალიანება.

გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, დაიწყება ტელეფონების გამორთვები და მათი ხელახლა ჩართვა გაჭიანურდება დიდი რაოდენობით ვამორთვების გამო.

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სკკპ წევრი 1943 წლიდან, პარტიისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი, ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელი ლეონტი ერასტის ძე შენგელია.

ლ. შენგელია დაიბადა 1910 წელს დაბა ჩხოროწყუში. დაამთავრა სოფელ ხაბუმეს ცხრაწლიანი სკოლა. მუშაობდა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში ფიზიკურად, აგროტექნიკოსად.

1937 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს, ლ. შენგელია მუშაობდა წალენჯიხის ჩაის ფაბრიკაში ტექნოლოგად, ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკაში აგრონომად, რაიმიწგანყოფილების ინსპექტორად.

## ლ. ე. შენგელია

1941-1946 წლებში ლ. ე. შენგელია მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. შრომისა დემობილიზაციის შემდეგ იგი ისევ უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს. მუშაობას იწყებს ჯერ ჩხოროწყუს ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში სასწავლო ნაწილის გამგედ. შემდეგ კი საცხოვრებლად გადმოდის ზუგდიდში და მუშაობას აგრძელებს ზუგდიდის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში დირექტორის მოადგილედ, სპეციალური საგნების მასწავლებლად, ცვლის ოსტატად, მან ბოლო ათეული წლები ენერგიულად იღვაწა პოლიტექნიკურ ტექნიკუმში. მიღებული ჰქონდა ჯილდოები.

იგი ყოველთვის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა საზოგადოებაში. ეს სიყვარული, კეთილმოსურნე დამოკიდებულება მოყვასისადმი იყო მისი ცხოვრების შეუვალი ზნეობრივი კანონი. ამ ნორმასაგან არ გადაუხვევია თავისი შინაარსიანი ცხოვრების არცერთ მონაკვეთში. იყო მოწოდებით აღმზრდელი, რომელიც თავის დიდ გამოცდილებას და გულის სითბოს მიიჩნევდა აუცილებელ ხიდად ახალ თაობასთან.

მისი შრომითი ბიოგრაფიის ბოლო ფურცელი იყო პოლიტექნიკური ტექნიკუმის მუზეუმი, რომლის შემდგომ გაფართოება სრულყოფას ჩვეული გატაცებით უძღვებოდა.

სპეტაკი, ამაგდარი ადამიანის ხსოვნა დიდხანს შემორჩება მისი ნაცნობ-ახლობლებისა და მეგობრების გულებს.

ამხანაგების ჯგუფი.

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) პაციენტებს იღებულობს შემდეგი მისამართით: ბლეხანოვის ქუჩა №24, ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

იყიდება მიდრავლიკური ექსკავატორი, „კარპატეც“—1,0м მსურველებს შეუძლიათ მიმართონ მისამართზე: ჩხოროწყუს რაიონი, ს. მუხური. კოოპერატივი „კალცი“, ნებისმიერ დროს.

### ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

1990 წლის 26 დეკემბერს 2 საათზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის ქ. №90) შესდგება საქალაქო საბჭოს აღმასკომის მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობის საანგარიშო კრება.

მებაღეობის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობა.

რედაქტორი ბ. შანშურია.

შვილი დოდო, და ქსენია ძმა ვარლამი, სიძეები: ვალიკო გურალია, რეზო გეგეჭკორი, ლევან ქირია, რძლები ნორა გუთია, ანტისა ფაღავა, მარინა ფარცხალავა, დისშვილები: ბიჭიკო, კოკო, ნათელა გარდაველი, კაკო ცხაკაია, ძმისშვილები: ვოვა კეიტაძე, ჟორა ფაღავა, მულიშვილი ლუბა ხვიჩია, მაზლიშვილი ლოდა ჭაგუა, შვილიშვილები: ელგუჯა, ცისანა, ციური, რუსლანი გეგეჭკორები, ხიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან ლუბა გახას ასულ ფაღავა-ნავეიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 დეკემბერს. დაკრძალვა 25 დეკემბერს 5 საათზე სოფელ დარჩელში.

და მარგო, სიძეები ტარასი დიდიშვილი, გახტანგ როგავა, დისშვილები კაკო, ხუტა კერზაიები, ალიკო, ბორისი დიდიშვილები, რძლები: თინიკო, ტატა, გალინა, მარინა, ხიძაშვილები: ავერიკო, გული, ჭოლოლა, ნუცა, თამაზი, ჯაგა, ლიდია ჯინჯორიები, შალვა გვაგვალია, ბესარიონ თოდუა, ახლო ნათესავები იუწყებიან ოლგა გვიტის ასულ ჯინჯორიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 დეკემბერს. გამოსვენება 25 დეკემბერს 15 საათზე ცაიშიდან, დაკრძალვა ახალკახათში.

ძმა შოთა, რძალი ნორა ჯალაღონია, ძმისშვილი ლიანა, სიძე ელგუჯა ბულია შვილიშვილებით დიტო, ეკათი იუწყებიან ალექსანდრე (საშა) თომას ძე ხვიტიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზაპოროჟიე 41, გამოსვენება ჩერბაკოვის 42, ბინა 33.

ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილება, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომი თანაუგრძნობენ მარინა გეგეჭკორს ძმის, რამიზ მამიას ძე გეგეჭკორის გარდაცვალების გამო.

წალენჯიხის სატყეო სამრეწველო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კოჭია დამიანეს ძე ჯანაშია და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ბალონი მირიანე, ვანო, კაკო ქვარაიებთ ოჯახებით იუწყებიან თამარა ოლიფანტეს ასულ ნადარეიშვილი-ქვარაიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 დეკემბერს ქ. გაგრაში, გამოსვენება რუსთაველის ქ. №163.

ქალაქის №9 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან კაპიტონ ძოწუს ძე უბილავას გარდაცვალებას.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რაიონრედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000